შპს ბილდექსი

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 13
5. საიჯარო შემოსავალი 13
6. ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან 14
7. სხვა შემოსავალი 14
8. მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი 14
9. შრომის ანაზღაურების ხარჯი 14
10. ზარალი შვილობილი საწარმოს გასვლიდან 14
11. აქტივების გაუფასურების ხარჯი 15
12. სხვა საოპერაციო ხარჯები 15
13. ფინანსური შემოსავალი 15
14. საკურსო მოგება/(ზარალი) 16
15. ძირითადი საშუალებები 17
16. საინვესტიციო ქონება 18
17. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში 19
18. სასაქონლო მატერიალური მარაგები 20
19. გაცემული სესხები 20
20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 20
21. ფული და ფულის ექვივალენტები 21
22. კაპიტალი 21
23. მიღებული სესხები 21
24. საგადასახადო ვალდებულებები 22
25. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 23
26. პირობითი ვალდებულებები 23
27. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 24
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 24

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ 26
2. ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიები 28
3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 28
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 30
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 30
6. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები ..30
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 30

ECOVIS®
ATA FINANCE

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის: აფაქიძის ქუჩა #11,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი,საქართველო 0171

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ბილდექსის" ხელმძღვანელობას და მეწილეებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს "ბილდექსის" და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *"აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 26-31 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ “საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

3 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო.

ECOVIS®
ATA FINANCE

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ “საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ი.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები" "ECOVIS ATA FINANCE" LLC
ECOVIS® ATA FINANCE
ს/კ 405193124

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

3 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო.

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
საიჯარო შემოსავლები	5	4,014,603	3,224,239
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	6	1,747,536	231,707
სხვა შემოსავალი	7	74,429	6,672
სულ შემოსავალი		**5,836,568**	**3,462,618**
მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი	8	(591,886)	(81,472)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	9	(464,096)	(243,966)
ცვეთის ხარჯი		(365,553)	(595,308)
ზარალი შვილობილი საწარმოს გასვლიდან	10	(68,118)	-
საგადასახადო ხარჯი		(74,671)	(64,477)
კომუნალური ხარჯი		(61,270)	(16,519)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	11	(972,175)	(250,875)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(391,336)	(319,441)
საოპერაციო მოგება		**2,847,463**	**1,890,560**
ფინანსური შემოსავალი	13	129,968	54,963
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება		-	27,105,927
ფინანსური ხარჯი	23	(948,274)	(970,219)
საკურსო მოგება/(ზარალი)	14	(99,353)	271,524
მოგება დაბეგვრამდე		**1,929,804**	**28,352,755**
მოგების გადასახადი		(243,424)	-
სულ მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		**1,686,380**	**28,352,755**
შეწვეტილი ოპერაციებიდან მიღებული შედეგი		-	695,109
სულ მოგება		**1,686,380**	**29,047,864**
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	685,984
წლის სრული შემოსავალი		**1,686,380**	**29,733,848**
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		1,784,028	29,601,724
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(97,648)	132,124
წლის სრული შემოსავალი		**1,686,380**	**29,733,848**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 3 ოქტომბერს:

ვლადიმერ ბაკურაძე
გენერალური დირექტორი

თამარ ჩხატარაშვილი
ფინანსური მენეჯერი

5-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ბილდექსი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
საიჯარო შემოსავლები	5	4,014,603	3,224,239
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	6	1,747,536	231,707
სხვა შემოსავალი	7	74,429	6,672
სულ შემოსავალი		**5,836,568**	**3,462,618**
მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი	8	(591,886)	(81,472)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	9	(464,096)	(243,966)
ცვეთის ხარჯი		(365,553)	(595,308)
ზარალი შვილობილი საწარმოს გასვლიდან	10	(68,118)	-
საგადასახადო ხარჯი		(74,671)	(64,477)
კომუნალური ხარჯი		(61,270)	(16,519)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	11	(972,175)	(250,875)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(391,336)	(319,441)
საოპერაციო მოგება		**2,847,463**	**1,890,560**
ფინანსური შემოსავალი	13	129,968	54,963
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება		-	27,105,927
ფინანსური ხარჯი	23	(948,274)	(970,219)
საკურსო მოგება/(ზარალი)	14	(99,353)	271,524
მოგება დაბეგვრამდე		**1,929,804**	**28,352,755**
მოგების გადასახადი		(243,424)	-
სულ მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		**1,686,380**	**28,352,755**
შეწვეტილი ოპერაციებიდან მიღებული შედეგი		-	695,109
სულ მოგება		**1,686,380**	**29,047,864**
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	685,984
წლის სრული შემოსავალი		**1,686,380**	**29,733,848**
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		1,784,028	29,601,724
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(97,648)	132,124
წლის სრული შემოსავალი		**1,686,380**	**29,733,848**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 3 ოქტომბერს:

ვლადიმერ ბაკურაძე
გენერალური დირექტორი

თამარ ჩხატარაშვილი
ფინანსური მენეჯერი

5-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (რეკლასიფიცირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	15	407,705	1,316,799
საინვესტიციო ქონება	16	36,333,452	35,361,950
არამატერიალური აქტივები		15,403	12,920
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში	17	-	958,743
სულ გრძელვადიანი აქტივები		**36,756,560**	**37,650,412**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	18	77,895	35,862
გაცემული სესხები	19	83,094	138,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	3,995,106	2,093,538
აქტივთა გამსვლელი ჯგუფი	10	-	4,325,096
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	401,939	452,465
სულ მიმდინარე აქტივები		**4,558,034**	**7,045,022**
სულ აქტივები		**41,314,594**	**44,695,434**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		81,711	697,011
გადაფასების რეზერვი		662,692	685,984
გაუნაწილებელი მოგება		33,089,357	32,660,982
სულ მფლობელის კაპიტალი	**22**	**33,833,760**	**34,043,977**
არამაკონტროლებელი წილი		(736,029)	(638,381)
სულ კაპიტალი		**33,097,731**	**33,405,596**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	23	6,170,061	7,286,146
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**6,170,061**	**7,286,146**
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	24	212,830	233,119
მოკლევადიანი სესხები	23	1,111,701	1,235,163
ვალდებულებების გამსვლელი ჯგუფი	10	-	1,917,043
სავაჭრო ვალდებულებები	25	722,271	618,367
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,046,802**	**4,003,692**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**41,314,594**	**44,695,434**

5-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019 (რეკლასიფიცირებული)	**2,381,711**	**4,002,328**	**-**	**6,384,039**	**(743,315)**	**5,640,724**
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,684,700)	-	-	(1,684,700)	(241,118)	(1,925,818)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-	-	(43,158)	(43,158)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	28,658,654	685,984	29,344,638	389,210	29,733,848
31 დეკემბერი 2020 (რეკლასიფიცირებული)	**697,011**	**32,660,982**	**685,984**	**34,043,977**	**(638,381)**	**33,405,596**
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(615,300)	-	-	(615,300)	-	(615,300)
გადახდილი დივიდენდი	-	(1,378,945)	-	(1,378,945)	-	(1,378,945)
ცვეთის რეკლასიფიკაცია გაუნაწილებელ მოგებაზე	-	23,292	(23,292)	-	-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		1,784,028	-	1,784,028 -	(97,648)	1,686,380 -
31 დეკემბერი 2021	**81,711**	**33,089,357**	**662,692**	**33,833,760**	**(736,029)**	**33,097,731**

5-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება	**1,686,380**	**29,047,864**
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	365,553	595,308
ფინანსური ხარჯი	948,274	970,219
ფინანსური შემოსავალი	(129,968)	(54,963)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	972,175	250,875
მოგების გადასახადის ხარჯი	243,424	7,715
წმინდა ზარალი/(მოგება) კურსთაშორისი სხვაობებიდან	99,353	(271,524)
სარგებელი საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან	-	(27,105,927)
წილის რეალიზაციდან მიღებული ზარალი	2,083,774	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე	**6,268,965**	**3,439,567**
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
ცვლილებები საქონელში	(42,033)	(1,594)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(2,210,408)	(283,518)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(20,289)	(164,393)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	357,346	263,115
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	**4,353,581**	**3,253,177**
გადახდილი მოგების გადასახადი	(243,424)	(7,715)
გადახდილი პროცენტი	-	-
მიღებული პროცენტი	(915,479)	54,963
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**3,194,678**	**3,300,425**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(482,832)	(170,235)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(5,000)	-
შვილობილი საწარმოს გასვლიდან მიღებული თანხები	324,279	-
არამაკონტროლებელი წილის ცვლილება	-	(241,118)
გაცემული სესხების დაბრუნება	152,140	77,284
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	**(11,413)**	**(334,069)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის დაფარვა	(1,239,546)	(1,451,201)
არამაკონტროლებელ წილზე გადახდილი დივიდენდი	-	(43,158)
საწარმოს მესაკუთრეებზე გადახდილი დივიდენდი	(1,378,945)	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(615,300)	(1,684,700)
ფინანსური იჯარა	-	7,669
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობაზე	**(3,233,791)**	**(3,171,390)**
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	**(50,526)**	**(205,034)**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**452,465**	**878,103**
გამსველელი ჯგუფების ფულადი სახსრები	-	(220,690)
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-	86
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**401,939**	**452,465**

5-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ბილდექსი (შემდგომში „მშობელი კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2018 წლის მაისში შპს მედისონ ჰოლდინგის რეორგანიზაციის შედეგად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405272565.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის უძრავი ქონების ფლობა და გაქირავება (ფართები გაქირავებულია სამედიცინო პროფილის კომპანიებზე). შპს ბილდექსის შვილობილი კომპანიების ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურების მიწოდება შემდეგი მიმართულებებით: ლაბორატორიული დიაგნოსტიკა; რენტგენოლოგიური გამოკვლევები და კომპიუტერული ტომოგრაფია.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 30 (2020: 168).

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., N83/11.

კომპანიის აქციონერები და ჯგუფის სტრუქტურა: მშობელი კომპანიის მეწილეების სტრუქტურა 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	რეგისტრაციის ქვეყანა	31 დეკემბერი 2021 (%)	31 დეკემბერი 2020 (%)
ვლადიმერ ბაკურაძე	საქართველო	30%	30%
მარინა გოგეშვილი	საქართველო	25%	25%
ირა არველაძე	საქართველო, რუსეთის ფედერაცია	45%	45%

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ვლადიმერ ბაკურაძე.

დაარსების დღიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში მშობელი კომპანია ფლობდა შემდეგი საწარმოების წილებს (შემდგომში ერთად მოხსენიებული როგორც ,,ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	31 დეკემბერი 2021 (%)	31 დეკემბერი 2020 (%)
შპს „თბილისის N1სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“	ამბულატორიული მომსახურება	100%	100%
შპს „კარდიო რეაბილიტაციის ცენტრი“	სტაციონარული, ამბულატორიული და სარეაბილიტაციო მომსახურება	45%	75%
შპს „ჰოლანდიურ-ქართული სარეაბილიტაციო ცენტრი“	ქონებისა და აღჭურვილობის საოპერაციო იჯარით (ქვეიჯარით) გაცემა	60%	60%
შპს „ფარმატეკა“	აფთიაქი (ფარმაცევტული მომსახურება)	100%	100%
შპს მედისონ ლაბი	ლაბორატორიული დიაგნოსტიკა; რენტგენოლოგიური გამოკვლევები და კომპიუტერული ტომოგრაფია	100%	100%
შპს სალუს ცენტრი	კომპიუტერული ტომოგრაფია, ლაბორატორია რენტგენი	-	60%
შპს „პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი“	ონკოლოგიური და დიაგნოსტიკური მომსახურება	-	75%

შპს ჰოლანდიურ-ქართული სარეაბილიტაციო ცენტრი, შპს კარდიო რეაბილიტაციის ცენტრი, შპს თბილისის #1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი და შპს ფარმატეკა აღარ ახორციელებენ საოპერაციო საქმიანობას.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ გაყიდა შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტისა და შპს სალუს ცენტრის წილები. შვილობილი საწარმოების გასვლიდან მიღებულ შემოსავალსა და კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის არსებულ საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება ზარალის ანგარიშგებაში. იხილეთ შენიშვნა 10.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობელი კომპანიისა და შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებულ მონაცემებს.

დაარსების დღიდან ჯგუფი ასევე ფლობს 49%-იან წილს მეკავშირე საწარმო შპს „ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალში“, რომლის ძირითადი საქმიანობაა სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურება.

1. კორპორატიული ინფორმაცია (გაგრძელება)

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გარდა უძრავი ქონებისა რომელიც წარდგენილია ძირითად საშუალებებსა და საინვესტიციო ქონებაში შესაბამისი რეალური ღირებულებით. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, „პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ჯგუფი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სამეურნეო ერთეულებისა ან საწარმოების გაერთიანებას ან რეორგანიზაციის შედეგად ახალი საწარმოს ან ჯგუფის გამყოფას არ აღრიცხავს, როგორც ბიზნესის შესყიდვას, ვინაიდან საერთო კონტროლი გულისხმობს, რომ ყველა საწარმო ან სამეურნეო ერთეული, რეორგანიზაციამდეც და მის შემდეგაც კონტროლდება ერთი და იმავე მხარის ან მხარეების მიერ და ეს კონტროლი არ არის დროებითი. ასეთი სახის საწარმოთა გაერთიანებებისთვის/რეორგანიზაციისთვის გამოიყენება წინამორბედი ღირებულება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. როგორც ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 30-ე შენიშვნაშია მოცემული, COVID 19-მა არაპირდაპირი გავლენა იქონია ჯგუფის ოპერაციებზე. მენეჯმენტმა და დამფუძნებლებმა შეათანხმეს კრიზისული პერიოდის საპროგნოზო შედეგები, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს გადახედილ ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში. ინვესტიციები შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია. 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანასურ ანგარიშგებაში 2020 წლის ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები პრეზენტაციის მიზნებისთვის რეკლასიფიცირებულია ამავე პერიოდის შესადარის მუხლებში. ამ რეკლასიფიკაციებს გავლენა არ მოუხდენია 2020 წლის ფინანანსურ შედეგებზე.

	31 დეკემბერი 2020	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2020 (რეკლასიფიცირებული)
მოკლევადიანი სესხები	1,409,492	(174,329)	1,235,163
გრძელვადიანი სესხები	7,111,817	174,329	7,286,146
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	32,791,232	(130,250)	32,660,982
არამაკონტროლებელი წილი	(768,631)	130,250	(638,381)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040
31 დეკემბერი 2020	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშულება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე, გარდა მიწებისა და შენობების რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

- **აღიარება და შეფასება**. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი აღიარების შეწყვეტა.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
სამედიცინო აღჭურვილობა	3-14
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	3-5
სხვა	3-5

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში `გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაზე კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისთვის, ის ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღრიცხება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაშ მოხდა შეფასების მეთოდის ცვლილება და საინვესტიციო ქონება წარდგენილია რეალური ღირებულებით, დეტალები მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20 წლით.

ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება**. არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიას, სააღრიცხვო და სამედიცინო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამა	10
ლიცენზია	10

სასაქონლო მატერიალური მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს ფიფო მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია) კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. ჯგუფი იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საოპერაციო იჯარისას საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

ჯგუფი იჯარას აკლასიფიცირებს ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი ემატება აქტივის ღირებულებას.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის საოპერაციო ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

შვილობილი კომპანიების ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია სამედიცინო მომსახურების გაწევასთან, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებულია დღგ-სა და ქონების გადასახადისგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია სხვა საოპერაციო ხარჯში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ჯგუფი შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საიჯარო მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები.

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფიზიკური პირებისთვის მოქმედებს განაკვეთი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე. ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაწერილია სადაზღვევოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში. დაუზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით.

საიჯარო შემოსავალი. საოპერაციო იჯარის ფარგლებში მიღებულ შემოსავალს ჯგუფი აღიარებს წრფივი მეთოდის მიხედვით ყოველთვიურად.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ ჯგუფი შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს ან/და გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ ჯგუფს არ ექნება საკმარისი რწმუნება იმისა, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

სხვა ხარჯების აღიარება. ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ხელფასები და ბონუსები. ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ზ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ანერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ჯგუფი აფასებს თავად ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო მისი იურიდიული ფორმას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება.** კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისათვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. კერძოდ მიწა და შენობა შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)

დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).

დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლადგამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი მოიცავს წრფივი მეთოდით დარიცხულ შემოსავალს იჯარით გაცემული ფართებიდან. ინფორმაცია იჯარით გაცემული ფართების შესახებ იხილეთ მე-16 შენიშვნაში.

6. ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან

ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020
ამონაგები კორპორატიული გაყიდვებიდან	1,697,182	230,442
ამონაგები სახელმწიფო ორგანიზაციებიდან	45,198	-
სხვა	5,156	1,265
სულ	**1,747,536**	**231,707**

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020
შემოსავალი სარემონტო მომსახურებიდან	36,650	-
სახელმწიფო გრანტები	28,911	6,551
სხვა	8,868	121
სულ	**74,429**	**6,672**

2020 წელს ახალი კორონა ვირუსის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური ეფექტის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება საშემოსავლო გადასახადის შეღავათის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგენდა 12,453 ლარს (2020: 5,547 ლარი).

2020 წელს ჯგუფში შემავალმა კომპანიამ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გააფორმა სასესხო ხელშეკრულება. პროგრამა ითვალისწინებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას. სესხის პირობებისა და მიზნობრიობის შესახებ იხილეთ 23-ე შენიშვნა. 2021 წლის განმავლობაში სუბსიდირებული სესხის პროცენტის ოდენობა შეადგენდა 20,257 ლარს (2020: 1,004 ლარი).

8. მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი

მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი მოიცავს ლაბორატორიული კვლევისათვის საჭირო მედიკამენტებსა და მასალებს 591,886 ლარის ოდენობით (2020: 81,472 ლარი).

9. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020
ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება	(305,733)	(206,922)
სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება	(158,363)	(37,044)
სულ	**(464,096)**	**(243,966)**

10. ზარალი შვილობილი საწარმოს გასვლიდან

ჯგუფმა 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით გაყიდა შვილობილ კომანიებში შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტსა და შპს სალუს ცენტრში არსებული წილები. სხვაობის თანხა გაყიდული კომპანიების ნეტო აქტივებსა და გაყიდვის ღირებულებას შორის ასახულია ნეტო თანხით, მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

	სულ
გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა	1,680,000
გასული ნეტო აქტივების ღირებულება	(1,748,118)
გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება	**(68,118)**

10. წილის რეალიზაციდან მიღებული ზარალი (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული კომპანიების აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც აქტივებისა და ვალდებულებების გამსვლელი ჯგუფები, ხოლო მოგება ზარალის ანგარშგებაში როგორც შეწყვეტილი ოპერაციების შედეგი.

11. აქტივების გაუფასურების ხარჯი

აქტივების გაუფასურების ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში (შენიშვნა 17)	(958,743)	(163,012)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(13,432)	(87,863)
სულ	**(972,175)**	**(250,875)**

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020
საკონსულტაციო მომსახურება	(108,291)	(69,880)
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	(77,112)	(69,635)
დასუფთავების ხარჯი	(45,557)	(50,406)
იჯარის ხარჯი	(39,655)	(23,167)
რემონტის ხარჯები	(17,474)	(38,460)
ბანკის საკომისიო	(13,027)	(1,370)
ლიფტების მომსახურების ხარჯი	(12,209)	(13,891)
სატრანსპორტო და საკურიერო მომსახურების ხარჯი	(11,445)	-
საკანცელარიო ხარჯები	(9,495)	(4,845)
საწვავის ხარჯი	(9,178)	(5,591)
დაცვის მომსახურების ხარჯი	(7,528)	(14,698)
საკომუნიკაციო ხარჯები	(4,022)	(3,755)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(2,981)	(3,276)
სხვა ხარჯები	(33,362)	(20,467)
სულ	**(391,336)**	**(319,441)**

13. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	119,574	36,453
დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი	10,394	18,510
სულ	**129,968**	**54,963**

14. საკურსო მოგება/(ზარალი)

2021 წლის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	4,327	235	**4,562**
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(103,703)	(212)	**(103,915)**
წმინდა საკურსო მოგება/ (ზარალი)	**(99,376)**	**23**	**(99,353)**

2020 წლის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მიღებული სესხები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	3,926	259,880	4,651	40,552	**309,009**
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(3,840)	(12,498)	(12,404)	(8,743)	**(37,485)**
წმინდა საკურსო მოგება/ (ზარალი)	**86**	**247,382**	**(7,753)**	**31,809**	**271,524**

15. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	სამედიცინო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2019	**548,260**	**2,473,960**	**2,697,308**	**656,096**	**20,243**	**6,395,867**
შემოსვლა	148,000	43,210	185,565	146,326	-	523,101
აქტივთა გამსვლელი ჯგუფი	-	(22,923)	(2,362,582)	(307,402)	-	(2,692,907)
რეალური ღირებულების შეფასება	677,939	8,044	-	-	-	685,983
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად	(455,649)	(2,301,439)	-	-	-	(2,757,088)
31 დეკემბერი 2020	**918,550**	**200,852**	**520,291**	**495,020**	**20,243**	**2,154,956**
შემოსვლა	-		60,334	49,375	-	109,709
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად	(770,550)	(200,852)	-	-	-	(971,402)
31 დეკემბერი 2021	**148,000**	**-**	**580,625**	**544,395**	**20,243**	**1,293,263**
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2019	**-**	**(888,955)**	**(989,794)**	**(508,912)**	**(1,777)**	**(2,389,438)**
ცვეთის ხარჯი	-	(509,906)	(332,378)	(115,587)	(1,769)	(959,640)
აქტივთა გამსვლელი ჯგუფი	-	10,178	932,531	179,529	-	1,122,238
ცლილება რეალური ღირებულების გამო	-	60,627	-	-	-	60,627
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად	-	1,328,056	-	-	-	1,328,056
31 დეკემბერი 2020	**-**	**-**	**(389,641)**	**(444,970)**	**(3,546)**	**(838,157)**
ცვეთის ხარჯი	-	-	(31,669)	(13,968)	(1,764)	(47,401)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	**-**	**-**	**(421,310)**	**(458,938)**	**(5,310)**	**(885,558)**
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	**918,550**	**200,852**	**130,650**	**50,050**	**16,697**	**1,316,799**
31 დეკემბერი 2021	**148,000**	**-**	**159,315**	**85,457**	**14,933**	**407,705**

15. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობებისა და მიწების რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო მიდგომის და შემოსავლების მიდგომის გამოყენებით დამოუკიდებელი და კვალიფიციური შემფასებლის მიერ. რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება უმაღლეს და საუკეთესოს გამოყენებას, რომელიც არ განსხვავდება მათი ფაქტიური გამოყენებისგან.

მიწები და შენობა-ნაგებობები თვითღირებულების მოდელით რომ შეფასებულიყო, მათი საბალანსო ღირებულება წარმოდგენილი იქნებოდა შემდეგნაირად:

	2020
თვითღირებულება	573,655
დაგროვილი ცვეთა	-
საბალანსო ღირებულება - მიწა	**573 655**
თვითღირებულება	1 475 259
დაგროვილი ცვეთა	(1,056,245)
საბალანსო ღირებულება - შენობა ნაგებობები	**419,015**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენდა 742,384 ლარს (2020: 472,673 ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელობაში არსებული მიწები და შენობები გამოყენებული იყო ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

16. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
31 დეკემბერი 2019	**2,186,361**	**6,273,321**	**8,459,682**
რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან	455,649	2,301,439	2,757,088
ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასების შედეგად	26,788,094	317,833	27,105,927
ცვლილება	-	(2,960,747)	(2,960,747)
31 დეკემბერი 2020	**29,430,104**	**5,931,846**	**35,361,950**
რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან	770,550	200,852	971,402
შემოსვლა	-	318,252	318,252
31 დეკემბერი 2021	**30,200,654**	**6,450,950**	**36,651,604**
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2019	**-**	**(1,588,568)**	**(1,588,568)**
ცვეთის ხარჯი	-	(306,436)	(306,436)
ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასების შედეგად	-	1,895,004	1,895,004
31 დეკემბერი 2020	**-**	**-**	**-**
ცვეთის ხარჯი	-	(318,152)	(318,152)
31 დეკემბერი 2021	**-**	**(318,152)**	**(318,152)**
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2020	**29,430,104**	**5,931,846**	**35,361,950**
31 დეკემბერი 2021	**30,200,654**	**6,132,798**	**36,333,452**

16. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

2020 წლის განმავლობაში ფინანსურ ინსტიტუტებთან და სხვა პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობის პროცესში აუცილებელი გახდა ჯგუფის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწა და შენობები) რეალური ღირებულების შეფასების ანგარიშის მომზადება. გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით ხელმისაწვდომი იყო საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ჯგუფმა გადაწყვიტა საინვესტიციო ქონება შეეფასებინა რეალური ღირებულებით და მეთოდის ცვლილება აესახა პერსპექტიულად.

შენობებისა და მიწების რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო მიდგომის და შემოსავლების მიდგომის გამოყენებით დამოუკიდებელი და კვალიფიციური შემფასებლის მიერ. რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება უმაღლეს და საუკეთესოს გამოყენებას, რომელიც არ განსხვავდება მათი ფაქტიური გამოყენებისგან.

ჯგუფს მიაჩნია რომ რეალური ღირებულებით წარმოდგენილი საინვესტიციო ქონება სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას.

მიწები და შენობები თვითღირებულების მოდელით რომ შეფასებულიყო, მათი საბალანსო ღირებულება წარმოდგენილი იქნებოდა შემდეგნაირად:

	2021	2020
თვითღირებულება	3,308,276	2,734,621
დაგროვილი ცვეთა	-	-
საბალანსო ღირებულება - მიწა	**3,308,276**	**2,734,621**
თვითღირებულება	9,177,378	7,702,119
დაგროვილი ცვეთა	(3,890,495)	(2,680,047)
საბალანსო ღირებულება - შენობა ნაგებობები	**5,286,883**	**5,022,072**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შენობები განთავსებული იყო ქ. თბილისში შემდეგ მისამართებზე: ვაჟა-ფშაველას 83/11 და გობრონიძის 27. შენობების 81% (2020: 66%) გაცემული იყო იჯარით, რაც შენობების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად: ვაჟა-ფშაველას 83/11 – 7,395კვ,მ. 9,084.75 კვ.მ.-დან და გობრონიძის 27 – 8,782 კვ.მ. 10,824.49 კვ.მ.-დან.

ვინაიდან შვილობილი კომპანიების გასვლის შემდგომ ქონების უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენება მომსახურების გასაწევად, ჯგუფი აღნიშნულ ქონებას სრულად განიხილავს როგორც საინვესტიციო ქონება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელობაში არსებული მიწები და შენობა-ნაგებობები გამოყენებული იყო ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხების უზრუნველყოფად.

17. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

ჯგუფი ფლობს 49%-იან წილს მეკავშირე საწარმო შპს ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალში, რომლის ძირითადი საქმიანობაა სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურება. შეკავშირე საწარმოს შედეგების მიმოხილვისას მენეჯმენტმა შეაფასა რომ არსებობს ინვესტიციის გააუფასურების ნიშნები. გაუფასურებაზე ტესტირების მიზნებისთვის ჯგუფმა გამოიყენა გამოყენების ღირებულება. გამოყენების ღირებულების განსიზღვრისას ჯგუფმა:

- შეაფასა მომავალი ფულადი ნაკადები რომლის მიღება და გასვლა მოსალოდნელია აქტივის უწყვეტი გამოყენების შედეგად; და
- მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ გამოიყენა 15% იანი დისკონტირების განაკვეთი.

მომავალი ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ჯგუფმა სრულად მოახდინა მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურება, რაც შეადგენდა 958, 743 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა ცვლილებები მეკავშირე საწარმოს ინვესტიციაში.

17. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში (გაგრძელება)

	2021	2020
საწყისი ნაშთი	**1,121,755**	**1,121,755**
ცვლილება	-	-
ბოლო ნაშთი	**1,121,755**	**1,121,755**
გაუფასურების ანარიცხი	(1,121,755)	(163,012)
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში ნეტო	**-**	**958,743**

18. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სამედიცინო სახარჯი მასალები	76,559	34,724
სხვა მარაგები	1,336	1,138
სულ	**77,895**	**35,862**

19. გაცემული სესხები

გაცემული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (რეკლასიფიცირებული)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	82,486	82,352
დარიცხული პროცენტი	608	55,709
სულ	**83,094**	**138,061**

გაცემული სესხების რეკონსილაცია წლების მიხედვით შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2021	2020
საწყისი ნაშთი	**138,061**	**232,945**
სესხის გაცემა	150,000	3,000
პროცენტის დარიცხვა	119,574	18,853
სესხის მიღება	(274,146)	(38,171)
პროცენტის მიღება	(50,395)	(78,566)
საბოლოო ნაშთი	**83,094**	**138,061**

20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საიჯარო მოთხოვნები	4,085,250	2,280,828
მოთხოვნები სახელმწიფო ორგანიზაციებიდან	40,769	-
მოთხოვნები კორპორატიული გაყიდვებიდან	315,316	90,760
სხვა მოთხოვნები	3,607	46,441
სულ ფინანსური მოთხოვნები	**4,444,942**	**2,418,029**

20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გაცემული ავანსები	28,689	140,602
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**4,473,631**	**2,558,631**
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(478,525)	(465,093)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**3,995,106**	**2,093,538**

21. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული უცხოურ ვალუტაში რეზიდენტ ბანკში	401,939	452,465
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	-	-
სულ	**401,939**	**452,465**

22. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

მშობელი კომპანიის კაპიტალი წარმოდგენილია საწესდებო კაპიტალით, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებით და გადაფასების რეზერვით. საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით და შენატანის განხორციელება შესაძლებელია როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ფორმით.

არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

მშობელი კომპანიის მეწილეების სტრუქტურა 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

2021 წლის განმავლობაში დამფუძნებლის მიერ მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირებულია 615,300 ლარის ოდენობით (2020: 1,684,700 ლარი).

დივიდენდები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები შეადგენდა 1,378,945 ლარს (2020: 0 ლარი). 2020 წელს შპს სალუს ცენტრის მიერ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდის ოდენობამ შეადგინა 43,158 ლარი.

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი მოიცავს ძირითად საშუალებებად და საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული მიწისა და შენობა-ნაგებობების რეალური ღირებულების შეფასების შედეგად მიღებულ ცვლილებებს. დეტალებისთვის იხილეთ 15-ე შენიშვნაში.

23. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (რეკლასიფიცირებული)
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	965,394	1,135,224
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	-	23,958

23. მიღებული სესხები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (რეკლასიფიცირებული)
დარიცხული პროცენტი	146,307	75,981
სულ მოკლევადიანი სესხები	**1,111,701**	**1,235,163**
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	6,170,061	7,286,146
სულ გრძელვადიანი სესხები	**6,170,061**	**7,286,146**
სულ მიღებული სესხები	**7,281,762**	**8,521,309**

2020 წლის თებერვალში, მშობელმა კომპანიამ, სს ტერა ბანკთან 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, აიღო გრძელვადიანი სესხი 6,152,071 ლარის ოდენობით. სესხის მიზნობრიობას წარმოადგენდა ფიზიკური პირებისა და დაკავშირებული მხარის მიმართ არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების რეფინანსირება. სესხის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2032 წლის 5 იანვრამდე.

2020 წლის 17 ნოემბერს ჯგუფში შემავალმა კომპანიამ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გააფორმა სასესხო ხელშეკრულება 7 წლის ვადით, 11.8%-იანი განაკვეთით. პროგრამა ითვალისწინებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას მაქსიმუმ 11%-ის ოდენობით. 2021 წლის განმავლობაში სუბსიდირებული სესხის პროცენტის ოდენობა შეადგენდა 20,257 ლარს.

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების და პროცენტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ნასესხები სახსრები:	%	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ინსტიტუტებიდან	11-12%	ლარი	2024	7,281,762	8,393,973
ფინანსური ინსტიტუტებიდან	11.8	ლარი	2037	-	95,950
დაკავშირებული მხარისგან	12%	ლარი	2020-2022	-	31,386
სულ				**7,281,762**	**8,521,309**

მიღებული სესხების რეკონსილაცია წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საწყისი ნაშთი	**8,521,309**	**9,051,700**
სესხის მიღება	55,000	6,263,071
სესხის ძირის დაფარვა	(1,368,127)	(4,639,159)
საპროცენტო ხარჯი	948,274	970,219
პროცენტის გადახდა	(874,694)	(3,090,596)
საკურსო სხვაობა	-	(33,926)
საბოლოო ნაშთი	**7,281,762**	**8,521,309**

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით და საინვესტიციო ქონებით.

24. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა

24. საგადასახადო ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

25. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები საქონლის და მომსახურების შესყიდვიდან	488,655	453,278
ვალდებულებები მიღებული სამედიცინო მომსახურებებიდან	93,167	-
გადასახდელი ხელფასი	114,074	135,927
მიღებული ავანსები	26,375	29,162
სულ	**722,271**	**618,367**

26. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

27. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დამფუძნებლები	საერთო კონტროლ ქვეშ	მეკავშირე საწარმო	მეწილეთა ოჯახის წევრები	სულ
გაცემული სესხები	-	83,094	-	-	**83,094**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	700,597	1,978,587	-	**2,679,184**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,850	-	-	-	**3,850**
სრული შემოსავლების ანგარიშგება					
საიჯარო შემოსავალი	-	681,192	1,817,417	-	**2,498,609**
ფინანსური შემოსავალი	-	20,388	-	-	**20,388**
ფინანსური ხარჯი	-	2,765	-	62,040	**64,805**
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	29,064	-	-	**29,064**

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მეწილე	საერთო კონტროლ ქვეშ	მეკავშირე საწარმო	მეწილეთა ოჯახის წევრები	სულ
მიღებული სესხები	-	31,387	-	-	**31,387**
გაცემული სესხები	-	138,061	-	-	**138,061**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	700,433	944,343	-	**1,644,776**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	11,010	-	-	**11,010**
სრული შემოსავლების ანგარიშგება					
საიჯარო შემოსავალი	-	678,698	1,523,704	-	**2,202,402**
ფინანსური შემოსავალი	-	36,446	-	-	**36,446**
ფინანსური ხარჯი	4,872	2,582	-	62,040	**69,494**

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2021	2020
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	121,705	370,660

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მშობელი კომპანიის მიერ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდის ოდენობამ შეადგინა 1,810,000 ლარი.

შპს ბილდექსი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ბილდექსი” დაფუძნებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის თანახმად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების სამედიცინო დაწესებულებისთვის განკუთვნილი ფართების გაქირავება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11.

კომპანია დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

კომპანიის სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. იგი შედგება 12 თვისგან, რომელიც იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს. 2018 წლის პერიოდი კომპანიის რეგისტრაციიდან 31 დეკემბრამდე წარმოადგენს არასრულ სამეურნეო წელს.

კომპანიის საქმიანობის საგანი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბიზნეს ფართების გაქირავება. ბიზნეს ფართები განთავსებულია ქ. თბილისის საუკეთესო ლოკაციების, შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #83/11
- ქ. თბილისი, ა. გობრონიძის #27

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის შენობების უმეტესი ნაწილი, 80% გაცემული იყო იჯარით. (2020: 66%). საიჯარო ფართით სარგებლობენ შემდეგი სამედიცინო დაწესებულებები:

- ✓ შპს მედისონ ჰოლდინგი
- ✓ შპს დავით დავარაშვილის კლინიკა
- ✓ შპს თბილისის გულის ცენტრი
- ✓ შპს ნეოგენი
- ✓ შპს ნევროლოგიისა და ნეიროფსიქლოგიის ინსტიტუტი
- ✓ შპს ფოინთ მედიქალ ცენტრი (შპს გეომედი)
- ✓ შპს გეფა
- ✓ შპს სალუს-ცენტრი
- ✓ შპს მედისონ ლაბი
- ✓ შპს ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი
- ✓ შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი

ჯგუფის სტრუქტურა.

შპს ბილდექსის დირექტორი კომპანიის დაარსების დღიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ვლადიმერ ბაკურაძე. კომპანიის დირექტორის დანიშვნის წესი განისაზღვრება წესდების შესაბამისად. ჯგუფის მართვის ორგანოებია:

- პარტნიორთა კრება
- დირექტორთა საბჭო

წესდების მიხედვით, პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას დირექტორის, დირექტორთა საბჭოს წევრთა არჩევასა და გამოწვევაზე.

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის სტრატეგიული გეგმა

შპს ბილდექსის სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენს, სამედიცინო ფართების უახლესი სტანდარტებით განახლება/გაფართოება; შვილობილი კომპანიების სამედიცინო მიმართულების ხელშეწყობა, სამედიცინო დაწესებულებების უახლესი, თანამედროვე სტანდარტებს შესაბამისი აპარატურითა და პროფესიონალთა გუნდით აღჭურვა, უწყვეტი სამედიცინო განათლების წახალისება, შშმ პირებისთვის მეტი კომფორტის შექმნა.

შპს ბილდექსმა ფუნქციონირება დაიწყო 2018 წელს და დღემდე განვლილი პერიოდის მანძილზე, საქართველოს ბაზარზე დაიმკვიდრა უნიკალური ნიშა, საუკეთესო ხარისხის სამედიცინო დაწესებულებისთვის განკუთვნილი ფართების მიმწოდებლის სახით. ვაცნობიერებთ რა უდიდეს პასუხიმგებლობას ქვეყნისა და კანონმდებლობის წინაშე, ასევე ვუცხადებთ ერთგულებას ჩვენს პარტნიორ კომპანიებს, ჩვენი მისიაა მომხმარებელს შევთავაზოთ თბილისის ცენტრალურ, მრავალრიცხოვან დასახლებულ უბნებში, უნიკალური ფართები, რომელშიც შესაძლებელია განხროციელდეს ნებისმიერი სახის სამედიცინო მომსახურება.

შპს ბილდექსის საოპერაციო ფართებში განთავსებულია თბილისის წამყვანი კლინიკები, რაც ახალ მოიჯარეს აძლევს შესაძლებლობას კონკრეტულ ლოკაციაზე მოიზიდოს მეტი პაციენტი და აიმაღლოს ცნობადობა.

შპს ბილდექსმა, როგორც მშობელმა კომპანიამ სტრატეგიული გეგმის განხორციელების მიზნით, 2020 წლის 11 აგვისტოს დააარსა შპს „მედისონ ლაბ“, კომპანია დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით. კლინიკაში დანერგილი მართვის ინსტუმენტები სრულად შეესაბამება პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

შპს „მედისონ ლაბის“ ძირითადი მიმართულებაა ლაბორატორიული კვლევები და დიაგნოსტიკა. კომპანია აღჭურვილია პრემიუმ კლასის, უახლესი სამედიცინო ანალიზატორებითა და აპარატურით, რომლებიც აპრობირებულია ისეთ წამყვან ქვეყნებში, როგორიც არის: გერმანია, ესპანეთი, ამერიკა, იაპონია.

შპს მედისონ ლაბის აპარატურა და ინვეტარი დაფინანსებულია სსიპ აწარმოე საქართველოს თანადაფინანსებითა და ხელშეწყობით, კომპანია გამოთქვამს მადლიერებას და მიესალმება სახელმწიფო სტრუქტურების ყველა ინიციატივას, რაც უზრუნველყოფს პაციენტისთვის ხელმისაწვდომ ფასად, საერთაშორისო სტანდარტების მქონე დიაგნოსტიკური კვლევების მიწოდებასა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნას.

სსიპ აწარმოე საქართველოს მიერ თანადაფინანსებული პროექტის ფარგებლში, კომპანიამ შექმნა 30 მდე ახალი სამუშაო ადგილი. თითოეული სამედიცინო პერსონალის შერჩევა მოხდა კონკურსით, ჩვენი ლაბორანტები ითვლიან მრავალწლიან გამოცდილებას, ისეთ წამყვან სამედიცინო ლაბორატორიებში, როგორც არის კურაციო, სინეო და სხვა.

შპს მედისონ ლაბი, სამედიცინო ბაზარზე სარგებლობს მაღალი სანდოობით, რაც გამოწვეულია მაღალკვალიფიციური კადრებით, თანამედროვე ტექნიკითა და კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო ლიცენზიის ქონით. ჩვენი ლაბორატორიის მიზნობრივი და არსებული მომხმარებლები არიან, ისეთი წამყვანი კლინიკები როგორიც არის შპს „თბილისის გულის ცენტრი“, შპს „მედისონ ჰოლდინგი“, შპს ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ცენტრი“, დაზღვეული პაციენტები, სახელმწიფო პროგრამები, შპს „ნეიროგენეტიკისა და მეტაბოლიზმის ცენტრი და ყველა ის პაციენტი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ხარისხიანი ლაბორატორიული კვლევის პასუხები.

მედისონ ლაბის შიდა სტრუქტურა ცენტრალიზებულია და აგებულია კლიენტის მოთხოვნებზე და შედგება ლაბორატორიული, დიაგნოსტიკო-ინსტრუმენტალური და ფინანსურ/ადმინისტრაციული სამსახურებისგან,რომელთა შერჩევის უპირატესი ფაქტორია კვალიფიკაცია, გამოცდილება და პაციენტის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება.

შპს „მედისონ ლაბის“ მიზანია მომხმარებლისთვის პრემიურ კლასის სტანდარტის, უწყვეტი და თანამედროვე ლაბორატორიული სერვისის მიწოდება, რაც მიიღწევა:

. უსაფრთხო და დაცული გარემოს უზრუნველყოფით

. ეფექტურობით

. პაციენტზე ორიენტულობით

. თანასწორობითა და უწყვეტობით

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

სამომავლო გეგმები:

ჯგუფი გეგმავს, გაფართოებას და თბილისისა და საქართველოს რეგიონებში ლაბორატორიული პუნქტების გახსნას, ასევე PCR კვლევითი მიმართულების გაფართოებას, სხვა და სხვა კორპორატიული კლიენტების მოზიდვას.

ჯგუფში არსებული ფინანსური მაჩვენებლები იძლევა საშუალებას, მუდვივად განახლდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზა, მიმდინარედ დანერგილია სამედიცინო პროგრამა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში 24/7 აწვდის პაციენტებს ანალიზების პასუხს დაგვიანებისა და შეფერხების გარეშე.

მომსახურეობის ხარისხის მაჩვენებლის უწყვეტი ზრდისთვის, ინტენსიურად მიმდინარეობს თანამშომელთა გადამზადება, როგორც სამედიცინო ასევე ადმინისტრაციული კუთხით, რაც მოიცავს ტრეინინგების, კონფერენციებისა და სხვა და სხვა ღონისძიებების მოწყობას.

2. ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიები

შპს ბილდექსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წილებს ფლობდა შემდეგ შვილობილ კომპანიებში:

- შპს ჰოლანდიურ-ქართული სარეაბილიტაციო ცენტრი
- შპს კარდიო რეაბილიტაციის ცენტრი
- შპს თბილისის #1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი
- შპს ფარმატეკა
- შპს „ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი“
- შპს მედისონ ლაბი

შპს ჰოლანდიურ-ქართული სარეაბილიტაციო ცენტრი; შპს კარდიო რეაბილიტაციის ცენტრი; შპს თბილისის #1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი; შპს ფარმატეკა აღარ ახორციელებენ საოპერაციო საქმიანობას, შესაბამისად მათ შესახებ მმართველობითი ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი მოცემულ ანგარიშგებაში.

3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის შემოსავლები 2021 და 2020 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საიჯარო შემოსავლები	4,014,603	3,224,239
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	1,747,536	231,707
სხვა შემოსავალი	74,429	6,672
სულ შემოსავალი	**5,836,568**	**3,462,618**

2021 წელს საიჯარო შემოსავალი წინა წელთან შედარებით გაზარდილია, რაც განპირობებულია იმ ფაქტით რომ შვილობილი კომპანიების ჯგუფიდან გასვლის შემდგომ, იჯარა აღიარდება შემოსავლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ ელიმინირდება.

3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითადი კოეფიციენტები:

	2021	2020
სულ შემოსავალი	5,836,568	3,462,618
სულ აქტივები	41,314,594	44,677,834
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	30	168
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.23	1.76
EBITDA %	56%	55%
წმინდა მოგების მარჟა	29%	819%
უკუგება კაპიტალზე	0.05	0.86
უკუგება აქტივებზე	0.04	0.86

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 50 დან 170-მდე. ჯგუფს აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.
ჯგუფი მუდმივად უწევს მონიტორინგს, რომ დასაქმებულ ექიმებს ჰქონდეთ საექიმო პრაქტიკის განხორციელების ლიცენზია, რომლის გაცემაზეც პასუხისმგებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სამედიცინო სერვისების ხარისხის მართვა მნიშვნელოვანი პროცესია. სწორედ ამიტომ, ჯგუფი მუდმივად ახდენს მომსახურების ხარისხის მონიტორინგს და მუშაობს მის გასაუმჯობესებლად. ამასთან, ჯგუფი თანამშრომლობს ევროპის წამყვან კლინიკებთან, რის შედეგადაც მუდმივად ნერგავს უახლეს ევროპულ სტანდარტებს პაციენტებზე ზრუნვისა და მათი მომსახურების პროცესებში. ჯგუფი უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ყოველი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვილებებების მონიტორინგს. იურიდიული და ფინანსური დეპარტამენტები კონსულტანტებთან ერთად უწევენ მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და მასთან შესაბამისობას აკონტროლებენ. ჯგუფის მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს თვალი ადევნოს ქვეყნის მიკრო და მაკრო ეკონომიკურ მაჩვენებლებს, პოლიტიკურ ტენდენციებსა და საკანონმდებლო ცვლილებებს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ჯგუფი თანამშრომლობს 300-მდე მომსახურე და პროდუქციის მომწოდებელ კომპანიასთან. ძირითად მომწოდებლებს წარმოადგენენ სააფთიაქო და მედიკამენტების მომწოდებელი ქსელები. კომპანია მათ შერჩევას ახორციელებს ტენდერის მეშვეობით, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მედიკამენტების ფასები.

ჯგუფის ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ სრული სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების საჭირო პაციენტები, რომელთა უმრავლესობა ჩართული არის საყოველთაო დაზღვევის სისტემაში და შესაბამისად გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან ჯგუფის ძირითად მარეგულირებელ კანონებს წარმოადგენს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ არსებული საქართველოს კანონი, რომელთა აღსრულებზე პასუხისმგებელია საქართველოს ოკუპირებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2021	2020	გადახრის ახსნა
საიჯარო შემოსავლები	4,014,603	3,224,239	შენიშვნა #1
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	1,747,536	231,707	შენიშვნა #1
მედიკამენტების და სხვა დამხმარე მასალების ხარჯი	(591,886)	(81,472)	შენიშვნა #1
წილის რეალიზაციდან მიღებული ზარალი	(68,118)	-	შენიშვნა #1
შეწვეტილი ოპერაციებიდან მიღებული შედეგი	-	695,109	შენიშვნა #1
აქტივთა გამსვლელი ჯგუფი		4,325,096	შენიშვნა #1
ვალდებულებების გამსვლელი ჯგუფი		1,917,043	შენიშვნა #1

შენიშვნა #1

ჯგუფმა 2021 წელს გაყიდა სამედიცინო პროფილის მქონე შვილობილი კომპანიების წილები, რომელთა ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილი იყო განგძრობითი ოპერაციებისგან განცალკევებულად, აქტივებისა და ვალდებულებების გამსვლელ ჯგუფში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და შეწყვეტილი ოპერაციებში მოგება ზარალის ანგარიშგებაში, შესაბამისად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც შემოსავლების ასევე ხარჯების წარდგენის კუთხით ვინაიდან მნიშვნელოვანი ოპერაციები არ ექვემდებარებოდა ელიმინაციას. წილების გაყიდვის შედეგი წარმოდგენილია წილის რეალიზაციიდან მიღებული ზარალის მუხლში.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკენომიკური პარამეტრები:

	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,689	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2)%
საშუალო წლიური ინფლაცია	13.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,152.8	616.9
უმუშევრობის დონე	20.6%	18.5%

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საქონლის/მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე მომხმარებლებზე, მისი ძირითადი მომმხმარებლები არიან

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან ოპერაციები, როგორც შესყიდვის-რეალიზაციის, ასევე სასესხო, ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 3 ოქტომბერს:

ვლადიმერ ბაკურაძე
გენერალური დირექტორი

თამარ ჩხატარაშვილი
ფინანსური მენეჯერი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საქონლის/მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე მომხმარებლებზე, მისი ძირითადი მომმხმარებლები არიან

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყეველბს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, ვინაიდან ოპერაციები, როგორც შესყიდვის-რეალიზაციის, ასევე სასესხო, ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 3 ოქტომბერს:

ვლადიმერ ბაკურაძე
გენერალური დირექტორი

თამარ ჩხატარაშვილი
ფინანსური მენეჯერი